დანართი N1

„დამტკიცებულია“

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

დირექტორის 2016 წლის 21 ივნისის

N02-03/19 ბრძანება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის

დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.
ეს დებულება განსაზღვრავს **სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს** (შემდგომში -,,მაუწყებელი”) მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის (შემდგომში - ,,სამსახური”) სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2.
სამსახური არის მაუწყებლის სტრუქტურული ერთეული, გათვალისწინებული მაუწყებლის დებულების 3.1.15. პუნქტით.

მუხლი 3.
სამსახური თავის ფუნქციებს წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსითა, მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი/განსაზღვრული პრიორიტეტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 4.
სამსახური იცავს საქართველოში დადგენილ ანდა საერთაშორისოდ შეთანხმებულ/აღიარებულ ძირითად პრინციპებს. საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლობის, კეთილსინდისიერების, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, კანონიერების, გამჭვირვალობის, საჯაროობის და სამართლიანობის პრინციპებით.

მუხლი 5.
სამსახურის მიზანია სატელევიზიო და რადიო პროგრამებში მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების შესრულებისა და დაცულობის, ასევე პროგრამების ხარისხის უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა. სამასახურის კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს მაუწყებლის სისტემაში პროგრამული პრიორიტეტების შედგენისასთან (მომზადებასთან, განხილვასთან, დამტკიცებასთან) დაკავშირებული საკითხები.

თავი II
სამსახურის ამოცანები, ფუნქციები, უფლებამოსილებები და ვალდებულებები

მუხლი 6.
სამსახური დამოუკიდებელი და ობიექტური საქაქმიანობის პრინციპების გამოყენებით აანალიზებს და აფასებს მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების შესრულებას, მაუწყებლის ტელე/რადიო/ინტერნეტ კონტენტის ხარისხის შესაბამისობას არსებულ სტანდარტებთან. შეიმუშავებს და გასცემს რეკომენდაციებს პროგრამული პრიორიტეტების შესრულებისა და კონტენტის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 7.
სამსახური:
- განიხილავს, აფასებს და ამზადებს წერილობით დასკვნებს სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის პროდუქტებს ხარისხზე და პროგრამულ პრიორიტეტებთან მათ შესაბამისობაზე;
- პერიოდულად ამზადებს ანგარიშებს, თუ რამდენად შეესაბამება სატელევიზიო, რადიო და ვებ კონტენტი, მათ შორის ახალი ამბების გამოშვებები პროგრამულ პრიორიტეტებს და დადგენილ სტანდარტებს;
- სატელევიზიო, ან რადიო პროგრამის წარმოების დაწყებამდე/შესყიდვამდე ამზადებს დასკვნებს, თუ რამდენად შესაბამისობაშია ის პროგრამულ პრიორიტეტებთან და სხვა მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტებთან;
- ამზადებს რეკომენდაციებს მიმდინარე სატელევიზიო და რადიო პროგრამების გარდაქმნასთან, ან შეწყვეტასთან დაკავშირებით;

მუხლი 8.
სამსახური წერილობით ამზადებს და ხარისხის განვითარების საბჭოს განსახილველად წარუდგენს:
- ხარისხის კონტროლის მექნიზმების გაუმჯობესების წინადადებებს;
- ხარისხთან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემების ანალიზს;
- ხარისხის განვითარების შესაძლებლობებს და წინანდადებებს ხარისხის სტანდარტების შესახებ;
- წინადადებებს ხარისხის კონტროლის მიდგომების, არხებისა და მექანიზმების შესახებ;
- გეგმებს ხარისხის კონტროლის მიმართულებით (რომელი მიმართულება რა პერიოდულობითა და როდის მოწმდება);

მუხლი 9.

სამსახურის უფროსი, როგორც ხარისხის განვითარების საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირი, ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებ(ებ)ის აღსრულების მონიტორინგი და საბჭოს პერიოდულად (მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ) წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში, შემდეგ საკითხებზე:

- საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში არსებული ხარვეზების შესახებ;
- საავტორო-შემოქმედებით პროგრამებში არსებული ხარვეზების შესახებ;
- საეთერო ბადეებში არსებული ხარვეზების (დამტკიცებული ბადის დარღვევის) შესახებ;
- მიმდინარე მაუწყებლობასთან (გამოსახულება, ხმა) დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

მუხლი 10.
სამსახურში დასაქმებული პირები, რომლებიც ხარისხის განვითარების საბჭოს მიერ განსაზღვრულნი არიან, როგორც განვითარების ღონისძიებებზე პასუხისმგებელი სუბიექტები, ვალდებულნი არიან საბჭოს პერიოდულად (თვეში ერთხელ) წარუდგინონ შესაბამისი ანგარიშები (წერილობით):

თავი III
სამსახურის სტრუქტურა

მუხლი 11.
სამსახურს შემადგენლობაში შედიან:

- სამსახურის უფროსი;
- ხარისხის კონტროლის სპეციალისტი;
- მონიტორი;

მუხლი 12.
სამსახურში მუდმივი, ან დროებითი ამოცანების შესასრულებლად შეიძლება მოწვეული/დანიშნული იქნას სხვა პირებიც;

მუხლი 13.
სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია როგორც მაუწყებლის დირექტორის, ასევე მრჩეველთა საბჭოს წინაშე. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის ანდა მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მოვალეობას დროებით ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე/მონიტორი;

მუხლი 14
სამსახურში მონიტორს და ხარისხის კონტროლის სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი. მონიტორი და ხარისხის კონტროლის სპეციალისტი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსისა და მაუწყებლის დირექტორის წინაშე;

მუხლი 15.
სამსახურის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
ბ) წარმოადგენს სამსახურს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას;
დ) ამტკიცებს მაუწყებლის მონიტორინგისა და ხარისხის შემოწმების გეგმას და წარუდგენს ხარისხის განვითარების საბჭოს.
ე) პერიოდულად ამზადებს ანგარიშებს, რომელიც წარედგინება მაუწყებლის დირექტორს, მრჩველთა საბჭოსა და ხარისხის განვითარების საბჭოს;
ვ) სამსახურის თანამშრომლებს შორის ანაწილებს მოვალეობებს და აძლევს მათ მითითებებს;
ზ) მრჩეველთა საბჭოს ან წევრ(ებ)ის წერილობითი, ან ზეპირი მოთხოვნით დამატებით ახორციელებს პროგრამულ პრიორიტეტებთან ამა თუ იმ პროგრამის შესაბამისობის შეფასებას, პროგრამაზე მომუშავე პერსონალს აცნობს მრჩეველთა საბჭოს წევრ(ებ)ის რეკომენდაციებს.
თ) ახორციელებს ამ დებულებით და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 16.
ხარისხის კონტრილის სპეციალისტი:
ა) ასრულებეს სამსახურის უფროსის დავალებებს და პასუხისმგებელა მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე;
ბ) უფლებამოსილია სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების პროცესში მიიღოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი, მიუხედავად მისი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა);
გ) ყოველთვიურად ამზადებს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;
დ) სისიტემატიურად ამოწმებს სატელევიზიო, რადიო და ვებ კონტენტის (გამოსახულებისა და გახმოვანების) ხარისხის შესაბამისობას დადგენილ/აღიარებულ სტანდარტებთან;
ე) გამოვლენილ ხარვეზებს აღრიცხავს პერიოდულ ანგარიშებში;

მუხლი 17.
მონიტორი:
ა) ასრულებეს სამსახურის უფროსის დავალებებს და პასუხისმგებელა მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე;
ბ) უფლებამოსილია სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების პროცესში მიიღოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი, მიუხედავად მისი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა);
გ) ყოველთვიურად ამზადებს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;
დ) სისიტემატიურად ამოწმებს მაუწყებლის მრჩველთა საბჭოს მიერ დადგენილი პრიორიტეტების შესრულებას;
ე) გამოვლენილ ხარვეზებსა (დადგენილ პრიორიტეტებთან შეუსაბამობას) აღრიცხავს პერიოდულ ანგარიშებში;

თავი IV
დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

მუხლი 18.
სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.